ქალაქის საკრებულოს ერთწლიანი შუქ-ჩრდილები

ალიონი. ერთი წელი გავიდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომიდან. რა მოხდა ამ ხნის მანძილზე? პოზიციის და ოპოზიციის მუდმივი დაპირისპირება, გაუთავებელი კინკლაობა, დეპუტატის დარბაზიდან გაძევება, ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადარჩევა...

იშვიათი იყო კონსენსუსი. დეპუტატების ერთი ჯგუფი მუდმივ ოპონირებას უწევდა ქ. ოზურგეთის მერს, უმრავლესობის წარმომადგენლების (ეს პირობითად, თორემ „ოცნება“ უმცირესობაშია) უმეტესობა პასიურობდა და საკითხის განხილვაში მხოლოდ ხელის აწევით მონაწილეობდა (ისე, ამ ბოლო სხდომებზე დეპუტატების ნაწილს მათი დადებითი თუ უარყოფითი პოზიციის დასაფიქსირებლად ხელის აწევაც ეზარებათ).

3 აგვისტოს სხდომამ თითქმის უხმაუროდ ჩაიარა. დეპუტატები კითხვებსაც ნაკლებად სვამდნენ და გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებასაც (ხელის აწევა) პასიურად უდგებოდნენ.

ტრადიციულად მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანეს. გაიზარდა: ბინათმშენებლობის პროგრამული კოდი 35 ათასი ლარით: კეთილმოწყობის სამუშაოები („მერცხალის“ სტადიონის რემონტისათვის) - 24 850 ლარით; კომუნალური მომსახურების ცენტრი - 36 300 ლარით: შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 5 000 ლარით; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა - 15 130 ლარით;

შემცირდა: გარე განათების პროგრამული კოდი - 2 400 ლარით; დასუფთავების ღონისძიებები - 36 300 ლარით; ქ. ოზურგეთის საკრებულოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 5800 ლარით.

„საქართველოს დემოკრატიული კავშირის“ თავმჯდომარე **ლევან ხინთიბიძემ** დასვა კითხვა: იქნებოდა თუ არა გამოცხადებული ტენდერი სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, რაზედაც მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსმა **მერაბ წივწივაძემ** გასცა პასუხი, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერით მოხდებოდა მშენებელი კომპანიის გამოვლენა.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, განიხილეს 2015 წლის 8 აგვისტოს, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა მოხსენიების დღის და 2015 წლის 10 აგვისტოს, ზაზა დამენიას დაღუპვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასაფინანსებლად 2015 წლის შესყიდვების გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ (სულ 680 ლარი) და აქვე მერიასა და ქალაქის საკრებულოში 3 ერთეული წყლის დისპენსერის (ჩამოსასხმელის) შესყიდვისათვის 900 ლარი გამოყვეს.

ქ. ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანასაც უყარეს კენჭი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარეს უფლებას აძლევს, წესრიგის დარღვევისათვის სხდომის დარბაზიდან გააძევოს საკრებულოს წევრი ან დამსწრე.

ამ ცვლილებას დეპუტატმა **გოჩა ძიმისტარიშვილმა** ანტიკონსტიტუციური უწოდა.

საკრებულომ ცვლილებები შეიტანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების წესში. ასევე

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №32 (10122), 10 აგვისტო, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქში 23 კორპუსის სახურავი განახლდება. ქალაქ ოზურგეთში მორიგი მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. მალე ქალაქის 23 მრავალბინიანი სახლის მცხოვრებლებს უამინდობის დროს შექმნილი პრობლემები საბოლოოდ მოეხსნებათ.

ამჯერად, ოზურგეთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ ყველა ობიექტი მოინახულა და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „ინჟინერმა'' გაიმარჯვა, ხოლო სახურავების სრულ და ნაწილობრივ რეაბილიტაციას ქვეკონტრაქტორი „ჯორჯიან ბილდინგ კომპანი“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება 742 840 ლარს შეადგენს.

პროექტის მიხედვით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება: ჭავჭავაძის 4, შევარდნაძის 2, უნივერსიტეტის 12, შემოქმედელის | 17, მეცნიერების 5, 13, 23, 37, აღმაშენებლის 168 მისამართზე მდებარე კორპუსების სახურავებს. ხოლო ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჭავჭავაძის 19, დოლიძის 7, თენიეშვილის 4, 6, 8, 10, ჩოხატაურის 10, 12, 14, მეგობრობის 22, გრიბოედოვის 27, 29, მალაზონიას 8, მეგრელაძის 8 ქუჩებზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსების სახურავებს. სამუშაოები, სავარაუდოდ, ორი თვის ვადაში დასრულდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთი წლის გადასახედიდან

ამონარიდები მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი მერაბ ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენებიდან

სოფლის მეურნეობა

... ამ დარგის განვითარების, საერთო პოლიტიკის წარმართვის, მართვის ოპტიმიზაციისა და ახალი ინოვაციების განხორციელების მიზნით, ჩემი ინიციატივით მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, დაფუძნდა „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის ისტორიაში პირველად, გასულ წელს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მუნიციპალიტეტში ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 1000 ჰა ჩაის ფართობის რეაბილიტაცია. პროგრამის განხორციელების მთავარი ღერძი კოოპერირება უნდა გახდეს. პროექტი წარდგენილია სოფლის მეურნეობის

შარშან მუნიციპალიტეტში დამზადებული იქნა დაახლოებით 600 ტონა ჩაის ფოთოლი. პრემიერ-მინისტრის უშუალო დავალებით მიმდინარე წელსვე დაიწყო ჩაის ფართობების ინვენტარიზაცია, რასაც მოყვება ჩაის ფართობების რეაბილიტაცია და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება-განხორციელება.

ციტრუსების დამზადებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გასულ წელს შეიქმნა სამთავრობო შტაბი. მუნიციპალიტეტში გაიხსნა ციტრუსის მიმღები 7 მსხვილი პუნქტი.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში პირველად, გასულ წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ არ იზარალა არც ერთი კილოგრამი ციტრუსი, რაც იმ სწორი სახელმწიფო პოლიტიკის დამსახურებაა, რასაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება კოორდინირებულად ახორციელებს.

დამზადდა დაახლოებით 15 ათასი ტონა ციტრუსი. კილოგრამის საშუალო ფასი ხარისხიანი სტანდარტული მანდარინისთვის 55-დან 60 თეთრამდე მერყეობდა, არასტანდარტული მანდარინისა – 10-დან 20 თეთრამდე. გასაყიდმა ფასმა კილოგრამზე საშუალოდ 40 თეთრი შეადგინა. ექსპორტზე გავიდა 10 ათას ტონამდე ციტრუსი. ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე იქნა რეალიზებული, ნაწილი ჩაბარდა წვენების გადამამუშავებელ ქარხანას ქობულეთსა და სოფელ ნატანებში.

მუნიციპალიტეტმა დაიწყო მეცხოველეობის განვითარებაზე ზრუნვა. მემორანდუმი, რომელიც 2015 წლის 2 მაისს გაფორმდა ჩვენსა და კომპანია კავკასიის გენეტიკას“ შორის მეცხოველეობის დარგის განვითარების მიმართულებით ახალი ტექტოლოგიების დანერგვას გულისხმობს. მეცხოველეობის განვითარებაზე ზრუნვა და სანდო გენეტიკა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ევროპის ქვეყნებში აპრობირებული ხელოვნური განაყოფიერების მეთოდები; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ახალი ჯიშების გამოყვანა; გადაშენების პირას მყოფი მეღორეობის დარგის განვითარება – ამ მიმართულებებით „კავკასიის გენეტიკასთან“ ერთად სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმება.

უკვე დაწყებულია. პრაქტიკული სამუშაოები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრს“ სოფლების - ლიხაურისა და ჭანიეთის საზღვარზე გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4.5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აქვე მიმდინარეობს და სექტემბერში დამთავრდება ფერმის მშენებლობა და მოსახლეობას უნიკალური ლა-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ქალაქის საკრებულოს ერთწლიანი შუქ-ჩრდილები

განიხილეს საკითხი - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ.

მერაბ წივწივაძემ წარმოადგინა საკითხი 2016-2017 წლებში რეგიონული განვითარების პროექტების ფონდებიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწოდების თაობაზე. 2016 წელს ამ სამუშაოებისათვის სავარაუდოდ 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა.

აზრთა სხვადასხვობა გამოიწვია ქ. ოზურგეთის საკრებულოს №7 განკარგულებამ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა) (ს/კ 26.26.01.505) პირველ სართულზე არსებული 262,1 კვ. მ. ფართიდან, 50 კვ/მ ფართის, იჯარის უფლებით 3 წლის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით, უზურფრუქტისთვის - შპს „გურიის პრესკლუბისათვის“ (ს/კ 437059415), თანხმობის მიცემის შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

–მაქვს კითხვა, რამდენადაც ვიცი, „გურიის მოამბე“ (გურიის პრესკლუბი) ქალაქის ყველაზე ცენტრალურ ადგილას, კეთილმოწყობილ ფართში წლიურად ერთ კვ. მეტრზე იხდის დაახლოებით 2 ლარს. იმ დროს, როდესაც სხვა აიპ-ი, უფრო ნაკლებ პირობებში იხდის ხუთჯერ მეტს.

– ეს 2012 წელს გაუფორმა წინა ხელისუფლებამ, - განმარტა საკითხის შემომტანმა მერაბ წივწივაძემ.

– გასაგებია, მაგრამ ხომ უნდა გამოსწორდეს წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, - თქვა **გოჩა მგელაძემ.**

„გურიის მოამბეს“ „თავისუფალი დემოკრატების“ ადგილობრივი ლიდერი, დეპუტატი **თემურ სალუქვაძე** გამოექომაგა.

– მივცეთ, ნამდვილად უნდა მივცეთ. მედია უნდა განვითარდეს, – განაცხადა მან.

ქ. ოზურგეთის მერმა მის მიერ პოზიციის შეცვლა იმით ახსნა, რომ ქალაქის მერიას დაქირავებული ჰყავს კვალიფიციური აუდიტი, რომელიც 26 სხვადასხვა შპს-ს და აიპ-ის მიერ ქონების ქირავნობის საკითხს განიხილავს.

კენჭისყრისას აღნიშნული პროექტისთვის ხმა არ მიუციათ გოჩა და ლევან მგელაძეებს. არც თამარ ნადირიძეს აუწევია ხელი.

სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატმა **გოჩა ძიმისტარიშვილმა** განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით ნებართვა შეახსენა გელა კობალაძეს. ნებართვა კი მიიღო, მაგრამ მის განცხადებას მხოლოდ რამდენიმე დეპუტატმა თუ მოუსმინა.

სხდომის ბოლო აკორდი იყო ლეიბორისტი დეპუტატის **ნათია შარაშენიძის** მიერ საკრებულოს პრეზიდიუმში მიტანილი „გუდა“, რომელსაც ზედ ეწერა „ქოსა-ტყუილას გუდა.“ ასე შეაფასა მან ქ. ოზურგეთის მერიის ერთწლიანი მოღვაწეობა.

შარაშენიძის ამ ქმედებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

5 აგვისტო – განსაკუთრებული დღე და ახალი ათვლის წერტილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში

მუნიციპალიტეტის ახალი დროშა ქანთარიამ და მეგრელიძემ აღმართეს

„ალიონი“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5 აგვისტოს სხდომამ დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები გერბი და დროშა. სხდომაზე მოწვეული იყო შესაბამის კონკურსში გამარჯვებული მხატვარ ჰერალდიკოსი მირიან კიკნაძე, რომელსაც ჰონორარის სახით გადაეცა 3 ათასი ლარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის დაწყებამდე, სხდომის მონაწილეებმა ადმინისტრაციული შენობის წინ გადაინაცვლეს, სადაც დაბა ლაითურისა და სოფელ ჯუმათის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებმა, ოქროსმედალოსნებმა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები სახელმწიფო გამოცდების წარმატებით გამვლელებმა ნინო ქანთარიამ და გიორგი მეგრელიძემ საზეიმო ვითარებაში აღმართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშა.

დამსწრე საზოადოებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ახალი გერბი და დროშა მიულოცა გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას თქმით, 5 აგვისტო განსაკუთრებული დღე და ახალი ათვლის წერტილი იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროში აღწერილობა:

გერბი – გერბის ფარი გაკვეთილია და იყოფა სამ ნაწილად.ნI ნაწილი – მეწამულ ველზე ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი; II ნაწილი – ზურმუხტის ველზე ვერცხლის ხე გარსშემოხვეული ოქროს ვაზით, რომელსაც აქვს ოქროს მტევნები და ფოთლები; III ნაწილი – შავი ველი (სიმაღლით ფარის 1:3) რომელსაც ზემოდან გასდევს ტალღოვანი სარტყელი;.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვეცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი „ოზურგეთი“.

დროშა – დროშა გაყოფილია ვერტიკალურად ორ, მეწამულ და მწვანე ველებად. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია თეთრი ჰერალდიკური ჯვარი, სიმაღლით დროშის 1/2; დროშის პროპორციებია 2:3.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილად განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. გერბისა და დროშის დაცვის უზრუნველყოფა დაევალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

შოთა ართმელაძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აგვისტოს სხდომაზე საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომზადებულ საკითხს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შოთა ართმელაძის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

როგორც ხსენებული კომისიის თავმჯდომარემ ეროდი გორდელაძემ განაცხადა, კომისია გაეცნო შსს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) საგამოძიებო მთავარი სამმართველოს, საგამოძიებო რეგიონული სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მიერ ჩვენი მ/წლის 21 ივლისის №216 წერილის პასუხად 2015 წლის 27 ივნისს №51501629682 წერილით გადმოგზავნილ მოსამართლის განჩინებას ბრალდებულ შოთა ართმელაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სადაც აღნიშნულია, რომ შოთა ართმელაძე, დაბადებული 1954 წლის 04 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკიპაღლში მცხოვრები, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ქრთამის აღების ფაქტზე მიცემულ იქნა პასუხისგებაში 2015 წლის 18 ივლისის საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და აღმკვეთი ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა, რომლის ათვლა დაიწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2015 წლის 17 ივლისის 13:31 საათიდან.

იხელმძღვანელა რა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტით, კომისიამ გადაწყვიტა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ შოთა ართმელაძეს შეუჩერდეს უფლებამოსილება სასამართლოს მიერ მისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გამო. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვროს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან, 2015 წლის 17 ივლისის 13:31 საათიდან 2015 წლის 10 სექტემბრის 19.00 საათის ჩათვლით.

მორიგი ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აგვისტოს სხდომამ დაამტკიცა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის გია მამაკაიშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს როგორც შემოსავლების ისე გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის 71 000 ლარით მატებას.

შემოსავლების ნაწილში – საკუთარი შემოსავლები უნდა გაიზარდოს 71 000 ლარით, კერძოდ: შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 20 000 ლარით, შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან – 39 000 ლარით, შემოსავალი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან – 10 100 ლარით.

გადასახდელების ნაწილში: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 1,7 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 7,8 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი – 3,0 ათასი ლარით; ოზურგეთს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფოსტო მომსახურების ხარჯი – 1,5 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 1,0 ათასი ლარით.

გაიზარდოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების დაფინანსება 4,4 ათასი ლარით; კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები სუბსიდიების ნაწილში – 40,0 ათასი ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება – 11,5 ათასი ლარით; ოზურგეთის უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა – 0,6 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთი წლის გადასახედიდან

ამონარიდები მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი მერაბ ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენებიდან

ნდრასის და იოქშირის ჯიშების გამრავლების საშუალება მიეცემა.

ამავე ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტმა უნიკალური, გურული ვაზის 60-მდე ჯიშის გამრავლების მიზნით სანერგე მეურნეობა მოაწყო.

მნიშვნელოვანი სამელიორაციო სამუშაოები ტარდება მოლიანი-ჩოლოქი, ურეკის ზონის ტერირორიების დასაშრობად. პროექტის განხორციელება

მუნიციპალიტეტის სპეციალისტები აქტიურად ეხმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა სახის დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებაში. ყველა სოფელში დარიგდა 45 ერთეული სოლო აპარატი და შესაწამლი ხსნარი, ბზის ალურის, ამერიკული პეპელის და სხვა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად...

ეკონომიკა

... მუნიციპალიტეტის მრეწველობის განვითარება ითვალისწინებს ორ მიმართულებას: ძველი საწარმოების აღდგენა-რეაბილიტაციას და მცირე საწარმოების გახსნას.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია მესაქონლეობის განვითარებას. მეხორცული მესაქონლეობის განვითარება და მის ბაზაზე ხორც-პროდუქტების ძეხვის, სოსისის, მოშუშული ხორცის კონსერვის წარმოება მთლიანად დააკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მეფუტკრეობას. ძირითადად, ეს ეხება მაღალმთიან სოფლებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია მდინარეებით. ეს საშუალებას გვაძლევს დავასაქმოთ ადგილობრივი მოსახლეობა თევზის წარმოებით. ვმუშაობთ სატბორე მეურნეობის განვითარების მიმართულებითაც.

მუნიციპალიტეტს გააჩნია ენერგეტიკული რესურსები, რომლებიც საჭიროებს ათვისებას მინიმალური კაპიტალდაბანდებებით. მხედველობაში მაქვს, მცირე ელექტროჰესების მშენებლობა მდინარეებზე – ნატანებზე, ბუჟუჟზე, სუფსაზე, ბახვისწყალზე. როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება თავდაუზოგავად მუშაობს ამ საკითხებზე. არ მინდა ამ ეტაპზე დავკონკრეტდე და დავასწრო მოვლენებს. თუმცა აღვნიშნავ, რომ ჩემი უფლებამოსილების ვადაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიხსნება სოფლის მეურნეობის მრეწველობის რამდენიმე ობიექტი, რომლებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების საქმეში...

კურორტები და ტურიზმი

... ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს ზღვისპირეთსა და ალპურ ზონაში. საქართველოში არსებული ოთხი სარეკრეაციო სტატუსმინიჭებული კურორტიდან - ურეკი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლოს დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთის კურორტებიდან მოქმედია ურეკი, შეკვეთილი და სამთო კურორტი გომისმთა.

საზღვაო აკვატორია – შეკვეთილიდან გრიგოლეთამდე საზღვაო ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ამ მიზნით ურეკსა და შეკვეთილში შესაძლებელია აშენდეს მინი-პორტები, საიდანაც კომეტით, მცირე ზომის სასეირნო გემებით და კატერებით მოეწყობა ექსკურსიები დამსვენებლების და ტურისტებისათვის.

მნიშვნელოვანია ასევე საცხენოსნო მარშრუტების დაგეგმვა ისტორიული ძეგლების და მაღალმთიანი ადგილების დასათვალიერებლად.

აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ნაციონალური სუვენირების საწარმოებლად.

მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წყაროა სარეკლამო კამპანიის ევროსტანდარტების დონეზე

ადრეულ მომავალში ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ მერიის აეროპორტის აღდგენა და კომერციულ აეროპორტად გადაკეთება. მერიის კომერციული აეროპორტი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დამსვენებლები და ტურისტები კერძო ავიაკომპანიების საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. აეროპორტის საშუალებითვე მოხდება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა სწრაფი რეალიზაცია.

ჩემი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ტურიზმის განვითარება დაისახა. კერძოდ, კურორტ გომისმთისა და ურეკის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

2014 წლის აგვისტოში ავაშენეთ აგარაკებიდან კრატერული წარმოშობის, უნიკალური ჭინჭაოს ტბამდე მისასვლელი 11 – კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთი.

გზა გაყვანილი იქნა ასევე სამომთაბარეო ფერმებამდე ე.წ. „ლორის კარავზე", რაც მომთაბარე ფერმერებს დამსვენებლებისათვის სასოფლო სამეურნეო ნატურალური პროდუქტების მიწოდებას გაუადვილებს.

ამავე თვეში სტუდენტების ჯგუფთან ერთად მოეწყო სამდღიანი ლაშქრობა კურორტ გომისმთაში, რომლის მიზანი იყო გომისმთის პოპულარიზაცია. ხოლო, სექტემბერში გომისმთამ პროექტ „ლეგენდების კვალდალვალ" ფარგლებში, ახალგაზრდულ, შემეცნებით-საგანმანათლებლო ალპინიადას უმასპინძლა.

მიმდინარე წელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეისყიდა გომისმთის წყალმომარაგების პროექტი, ხოლო 2016 წელს დაიწყება 7–კილომეტრიანი თანამედროვე, ევროსტანდარტების დონის წყალსადენის მშენებლობა, აგარაკების წყლის მილებით დაქსელვა და გამრიცხველიანება. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 850 ათას ლარს.

2016 წელსვე დაიწყება გომისმთის ელექტროენერგიით მომარაგების სამუშაოები. დაწყებულია მუშაობა კურორტ გომისმთის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე.

მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა გომისმთის ზამთრის კურორტად ჩამოყალიბების მიზნით. კურორტი უხვთოვლიანია, ზამთრის სეზონი 8 თვის განმავლობაში გრძელდება და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის იდეალური რელიეფი აქვს.

ამ პროექტების განხორციელების შემდგომ, გომისმთა აუცილებლად დაიმკვიდრებს მნიშვნელოვან ადგილს არამარტო საქართველოს კუროტების ნუსხაში, არამედ საერთაშორისო დონეზეც.

სარეკრეაციო სტატუსის მქონე კურორტებზე: ურეკსა და შეკვეთილში მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება - შენდება ევროსტანდარტის დონის წყალმომარაგების სისტემა და საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა.

პროექტი შემუშავებულია გერმანული საპროექტო ორგანიზაცია „კოკასის" მიერ. მისი საერთო ღირებულება 73 მილიონ ლარს შეადგენს. სამუშაოებს, რომელიც 2017 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს. აწარმოებს შპს „ფერი"

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უდიდესი მადლიერება გამოვხატო „მუნიციპალური განვითარებისა ფონდისა" და „აზიის განვითარების ბანკის" მიმართ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება ეს უნიკალური პროექტი.

ჩვენი მიზანია, არამარტო შევინარჩუნოთ დამსვენებლებისა და ტურისტების კონტიგენტი, არამედ გავზარდოთ იგი, რაც, თავისთავად, ბიუჯეტის ზრდას განაპირობებს. ზემოაღნიშნული ჩანაფიქრების პრაქტიკული რეალიზება წარმოუდგენელად მიმაჩნია იმ შემთხვევაში, თუ არ მოვახდენთ ამ ადგილების პოპულარიზაციას, დამსვენებლების, ტურისტებისა და მეწარმეებისთვის ნოვატორული სერვისების შეთავაზებას.

ამ მიზნებს ემსახურებოდა ჩვენი ინიციატივით ორგანიზებული საინფორმაციო ტური - „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე". გზა - ზღვის სანაპიროდან თოვლიან მთებამდე, რომელიც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, გიორგი ჩოგოვაძესთან და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად გავიარეთ. ამ ტურმა უკვე შედეგი გამოიღო და დღეის მდგომარეობით, სამი ერთეული მიკროავტობუსით ყოველდღიურად მიემართებიან ტურისტები ზღვისპირეთიდან გომისმთაში.

უკეთესი სერვისების შეთავაზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მივიჩნიეთ ის, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილიყო ათეულობით წლის განმავლობაში მოუგვარებელი ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავების საკითხი. კურორტებზე ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით, 2014 წლის სეზონის განმავლობაში მოეწყო დასუფთავების მასშტაბური აქციები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 420 ათასი ლარი დასუფთავების ახალი მანქანების შესაძენად.

პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თხოვნამ შედეგი გამოღო და მუნიციპალიტეტს გადმოეცა 10 ერთეული სპეციალური ტექნიკა და 350 ერთეული სანაგვე კონტეინერი. ამ თანამედროვე ტიპის ტექნიკით, საბოლოოდ გადაიჭრა, არამარტო, საკურორტო ადგილების დასუფთავების საკითხი, არამედ მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისაც, რასაც უახლოეს მომავალში იგრძნობს ჩვენი მოსახლეობა.

მისასალმებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება, რომელმაც 50 თეთრიდან 25 თეთრამდე შეამცირა დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე.

ქმედითი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ასევე, კურორტ ნასაკირალის კეთილმოწყობაზე, სადაც მინერალური წყლები მოიპოვება...

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება

... მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სწორედ ამ სფეროზეა ორიენტირებული. აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს:

სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 1053 მოქალაქეს, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობა დაუფინანსდა 41-ს, ხოლო მკურნალობისა და მედიკამენტების შეძენისათვის ფინანსური დახმარება გაეწია 1012 მოქალაქეს. გახარჯულია - 155459 ლარი.

დევნილი მოსახლეობის პროგრამიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით (საშეშე მერქნის შესაძენად) გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან დევნილ 40 ოჯახს. გახარჯულია 90 000 ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 136 მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი 18 წლამდე) ოჯახს. აქედან 87 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57 001 დან 150 000-მდე, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით, ხოლო 54 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57001 - მდე წელიწადში 3 -ჯერ 100 ლარის ოდენობით. გახარჯულია 126 875 ლარი

სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 6 ოჯახს, აქედან 1 ოჯახისათვის (სოფელი შრომა) 2 000 ლარად შეძენილი იქნა საცხოვრებელი ხის შენობა-ნაგებობა, 3 ოჯახს ხანძრის შედეგად დაეწვა საცხოვრებელი სახლი და გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

6 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ყოველთვიურად საცხოვრებელი ერიცხება ბინის ქირა. გახარჯულია 11 065 ლარი.

ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 19 ოჯახს, სამამულო ომში მონაწილე 24 ვეტერანს და სარიტუალო მომსახურეობისათვის მატერიალური დახმარება გაეწია 4 ოჯახს. გახარჯულია 7 700 ლარი.

თირკმლის უკმარისობით დავადებულ პირთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 21 მოქალაქეს მათი ტრანსპორტირებისა და სხვადასხვა მედიკამენტების შესაძენად. გახარჯულია 6 690 ლარი.

ხანდაზმულთა დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწია 4 მოქალაქეს. გახარჯულია 1100 ლარი.

უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 57 მოქალაქეს. გახარჯულია 11 400 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების პროგრამიდან - ყოველთიურად დახმარებას ვუწევთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადნინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები 19 და მეტი წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 8 ბენეფიციარს - ერთ ბენეფიციარზე თვეში 252 ლარს. გახარჯულია 14 112 ლარი.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" ადმინისტრაციაში მყოფ „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლისთვის" ქვეპროგრამით - რომელიც ითვალისწინებს „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის" კომუნალური გადასახადების გადახდით უზრუნველყოფას - გახარჯულია 5 ათას 271 ლარი.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსებით - გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ ა.(ა).ი.პ. „მომავლის სხივის" დღის ცენტრის მომსახურებით, რეგისტრირებულია 11 ბენეფიციარი - ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია თვეში 150 ლარი. გახარჯულია 11 ათასი 550 ლარი.

495 შეჭირვებულ ოჯახს, რომლებმაც განცხადებით მომმართეს სამედ-

გვ-4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთი წლის გადასახედიდან

ამონარიდები მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი მერაბ ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენებიდან

იცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობისა და ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად და ვერ აკმაყოფილებდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური პროგრამებიდან გაცემის პირობებს, დახმარება გაეწიათ უშუალოდ ჩემი სარეზერვო ფონდიდან, რაზედაც გახარჯულია უპრეცედენტო თანხა - 141 970 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 300-მდე ოჯახი ცხოვრობს უკიდურესად გაუსაძლის პირობებში, რაც განპირობებულია მეწყერის, წყალმოვარდნების თუ სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად. ამ ოჯახებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი კატეგორიები. ისინი პრაქტიკულად უსახლკარონი არიან. ამიტომ, გადაუდებელ აუცილებელობას წარმოადგენს, მათი პრობლემის გადაწყვეტა, რომლის პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით, შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება მოგვეხდინა მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. ყოფილი „სამხედრო ქალაქის“ ტერიორიაზე არსებული ხუთსართულიანი მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია.

გამომდინარე აქედან, გამოვაცხადეთ ტენდერი შენობის დაპროექტების შესახებ, რომლის დასრულების შემდეგ გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

პროექტის ღირებულება 738 ათასი ლარს შეადგენს. ბინის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

პროექტით ისარგებლებს 90 ბენეფიციარი, რომელთაც ბინის გასაღები ახალი წლისთვის გადაეცემათ.

ვინაიდან, ბენეფიციართა რაოდენობა აღემატება სარეაბილიტაციო მრავალბინიანი სახლის ბინათა რაოდენობას, ამ ადამიანებთან პირადი შეხვედრის დროს, გადაწყდა, რომ ბინების გადაცემა მოხდება კომისიური წესით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 3 ეკომიგრანტ ოჯახს გადაეცათ საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში.

როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება პერმანენტულად განაგრძობენ შესაბამისი პროგრამების რეალიზებას და უახლოეს მომავალში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უსახლკარო ეკომიგრანტი ოჯახი აღარ გვეყოლება.

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ ამ ერთი წლის განმავლობაში დღეის მდგომარეობით სოციალური პროგრამების ფარგლებში დახარჯულია - 502492 ლარი, 738 ათასი ლარი დაიხარჯება ეკომიგრანტებისათვის მრავალბინიანი სახლის მშენებლობაზე. ანუ, ჯამში 1 მილიონ 240 ათასი ლარი, რაც ნათლად ცხადყოფს, რომ ჩვენ ვართ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ხელისუფლება.

ინფრასტრუქტურის განვითარება

... შემუშავდა სტრატეგიული განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელშიც აქცენტი სწორედ ინფრასტრუქტურული პროექტებზე კეთდება.

ერთი სამუშაო წლის განმავლობაში გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შესრულებული იქნა, გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტუქტურული პროექტი.

2014 წელს სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 28 თემში განხორციელდა 1 347 000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ოთხ სოფელში რთულ მონაკვეთებზე მოეწყო 1 440 გრძივი მეტრი რკინა-ბეტონის გზა.

მოეწყო 60 ათასი ლარის ღირებულების საყანე ფართობებთან მისასვლელი ხრეშოვანი გზა.

დაიწყო რამდენიმე ინფრასტრუქტურული, გარდამავალი პროექტის განხორციელება:

– მერია-კონჭკათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. დაიგო 1,8 კმ გზა ასფალტ-ბეტონის საფარით, ღირებულებით - 924593 ლარი.

– დასრულდა მერია-თხინვალი-თხინვალის-ჩაის ფაბრიკის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. სიგრძით 2,45 კმ, ღირებულებით - 913587 ლარი.

– ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. სიგრძით 0.92 კმ, ღირებულებით- 260000 ლარი.

– ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთის და დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის შემაერთებელი საავტომობილო გზის მშენებლობის პირველი ეტაპი, სიგრძით 1,30 კმ, ღირებულებით 371500 ლარი.

– საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზისა და სოფელ ლიხაურის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის 1,50 კმ რეაბილიტაცია, ღირებულებით - 277400 ლარი.

– სტიქიის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

– სოფელ ბახვში მდინარე „დურღანაზე“ დასრულდა ხიდის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 79455 ლარი.

– სოფელ თხინვალისა და ნატანების დამაკავშირებელ გზაზე ხიდის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 84499 ლარი.

– დაბა ლაითურისა და ოჩხამურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 28452 ლარი.

სულ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებულ ინფრასტურქტურულ სამუშაოებზე დაიხარჯა 4 მილიონ 100 ათასი ლარი.

– სოფელ ასკანაში აშენდა უახლესი, ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი წყალმომარაგების სისტემა. ასკანის წყლის საფილტრე-საქლორატორო სადგური უნიკალურია თავისი სტრუქტურით და სამი მაღალმთიანი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას მოხსნის. დღეიდან მოსახლეობას წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება. პროექტი დაფინანსდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან . მისი ღირებულება 1200000 ლარს შეადგენს.

– 24 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს გადაეცა 30 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.

– 10 სოციალურად დაუცველი ოჯახი დაკმაყოფილდა 15 კუბური მეტრი ხის მასალით.

– 2014 წლის გაზაფხულზე მომხდარი სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 193 დაზარალებულ ოჯახს გადაეცა 26 300 კვადრატული მეტრის თუნუქის სახურავი.

– საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფარასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინტენსიური მუშაობის შედეგად, 2014 წელს გურიაში მომხდარი სტიქიის შემდეგ, სოფელ შემოქმედისა და ნატანების გზის ჩანგრეული მონაკვეთების სრულფასოვნად აღდგენა რამდენიმე დღეში მოხერხდა.

– 24-29 სექტემბრის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტის მიერ მომზადდა 4566000 ლარის საპროექტო დოკუმენტაცია.

– 2015 წლის განმავლობაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოეყო 1342237 ლარი. თქვენი არჩეული პრიორიტეტების მიხედვით, ჩვენ მიერ მომზადებულია 217 პროექტი, რომელთაგან 105 პროექტი უკვე დასრულებულია, ხოლო დანარჩენი წლის ბოლომდე დასრულდება.

აღნიშნული პროექტებით გათვალისწინებულია:

10 ადმინისტრაციული შენობის (კლუბი, ამბულატორია, ბიბლიოთეკა) სარემონტო სამუშაოები - სულ 46 323 ლარის ღირებულების; 16 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები - 140600 ლარის ღირებულების; არხების გათხრა-გაწმენდის სამუშაოები 7 სოფელში, სულ 25 535 ლარის ღირებულების; ასფალტობეტონისა და ბეტონის 4700 მ2 გზების მოწყობა 7 სოფელში ღირებულებით - 220 620 ლარი; მოიხრეშება და დაგრეიდერდება გზები 8 სოფელში ჯამში 15 კმ, ღირებულებით - 110 721 ლარი; დამონტაჟდება გარე განათების 916 ლამპიონი 16 სოფელში - 272170 ლარის ღირებულების; 5 სოფელში მოეწყობა14 ერთეული მილხიდი - ღირებულებით 29 000 ლარი; მოეწყობა 5 სოფელში 5 მოსაცდელი - ღირებულებით 25 000 ლარი; 2 სოფელში, 5 ადგილას მოეწყობა სანიაღვრე არხი - ღირებულებით 11 700 ლარი;2 სოფელში შემოიღობება სასაფლაო - 8 000 ლარის ღირებულების და 1 სოფელში შეძენილ იქნება ტერიტორია სასაფლაოს მოსაწყობად; 7 სოფელში მოხდება სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (სტადიონი, საჭიდაო დარბაზი)-53 000 ლარი;12 სათემო ცენტში მოხდება ცენტრის კეთილ მოწყობა - ღირებულებით 94 300 ლარი; 9 სოფელში მოხდება წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია - ღირებულებით 101 300 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ისაუბრა სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, განათლების წახალისებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, კულტურულ ღონისძიებებზე, ადამიანური რესურსებსა და სხვა აქტუალურ თემებზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2015-2016-2017 წლებში განსახორციელებელი პროექტები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 აგვისტოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბადრი გობრონიძემ წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2015-2016-2017 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

გთავაზობთ ამ პროექტების ჩამონათვალს:

2015 წელი

– სოფელ ჯუმათის სასმელი წყლის რეაბილიტაცია-მოწყობა – I ეტაპი;

– ცხემლისხიდის თემში (ბაღდადი) საბავშვო ბაღის მშენებლობა – I ეტაპი;

– ბახვის თემში საბავშვო ბაღის მშენებლობა – I ეტაპი;

– მერიის თემი – კონჭკათის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 6,5 კმ – II ეტაპი;

– სოფელ სილაურის ადმინისტრაციული შენობის შეკეთება;

– ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზისა და დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია სიგრძით 1,255 კმ;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი ბინის რეაბილიტაცია;

– სოფ. ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2,55 კმ – III ეტაპი;

– სოფ ჯუმათის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – I ეტაპი;

– ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

– დაბა ურეკში (წვერმაღალა) ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა;

– მერია-ლაითურის დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე ნატანებზე ხიდის მშენებლობა – II ეტაპი.

2016 წელი

– სოფელ ჯუმათის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობა – II ეტაპი;

– ცხემლისხიდის თემში (ბაღდადი) საბავშვო ბაღის მშენებლობა – II ეტაპი;

– ბახვის თემში საბავშვო ბაღის მშენებლობა – II ეტაპი;

– კურორტ გომისმთის სასმელი წყლის მოწყობა-მშენებლობა – I ეტაპი;

– სოფ. ოზურგეთი-სოფელ გურიანთის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 5 კმ – I ეტაპი;

– სოფ. ვაკიჯვარი-ფამფალეთის შემაერთებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 3,1 კმ – I ეტაპი;

– დაბა ლაითურის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – I ეტაპი;

– სოფ. ძიმითის კულტურის სახლის რეაბილიტაცია;

– სოფ. ოზურგეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა;

– სოფ. ნაგომრის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 3 კმ – I ეტაპი;

– სოფ. მაკვანეთის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 1,0 კმ;

– ჭალა-ბოხვაურის გზის რეაბილიტაცია სიგრძით 3,5 კმ – I ეტაპი;

– სოფელ მელექედური – დაბა ნასაკირალის შემაერთებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2,2 კმ – I ეტაპი;

– სოფ. გაღმა დვაბზუ-სოფ ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2 კმ – I ეტაპი;

– სოფ ლიხაურის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

2017 წელი

– კურორტ გომისმთის სასმელი წყლის მოწყობა-მშენებლობა – II ეტაპი;

– სოფ. ოზურგეთი - სოფ. გურიანთის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 5 კმ – II ეტაპი;

– სოფ. ვაკიჯვარი-ფამფალეთის შემაერთებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 3,1 კმ – II ეტაპი;

– დაბა ლაითურის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – II ეტაპი;

– სოფ. ნაგომრის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 3 კმ – II ეტაპი;

– ჭალა-ბოხვაურის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 3,5 კმ – I ეტაპი;

– სოფ. მელექედური- დაბა ნასაკირალის შემაერთებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2,5 კმ – II ეტაპი;

– სოფ. გაღმა დვაბზუ-სოფ. ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2 კმ – II ეტაპი;

– დაბა ურეკის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 1,8 კმ;

– სოფ ბაღდადის წყალმომარაგების გარე ქსელის რეაბილიტაცია;

– სოფ. შრომაში (ორმეთი) საბავშვო ბაღის მშენებლობა;

– სოფ. შემოქმედი-გორისფერდის გზის რეაბილიტაცია, სიგრძით 2,8 კმ;

– სოფ. ოზურგეთის სასმელი წყლის მოწყობა-მშენებლობა.

გურიის გუბერნატორის მოადგილედ გია ებრალიძე დაინიშნა



გურიის გუბერნატორის ახალდანიშნულ მოადგილე გია ებრალიძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ქ. ხარკოვის პროკურატურის ინსტიტუტი. არის იუსტიციის უფროსი მრჩეველი, პოლკოვნიკი

გია ებრალიძე 1975 წლიდან მუშაობდა პროკურაში: 1975-1976 წ.წ. ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; 1976-1977 წწ. ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურორის თანაშემწე; 1977-1980 წწ. საქართველოს პროკურატურის უფროსი პროკურორი; 1980-1990 წწ. მარნეულის რაიონის პროკურორი; 1991წ. საქართველოს პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსი, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი; 1991 წ. ზესტაფონის რაიონის პროკურორი; 1991-2000 წწ. გარდაბნის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე; 2000 - 2006 წ.წ. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარე; 2007 წლიდან დღემდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი; 2014 წლიდან - დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი- ლექცია-სემინარების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გუბერნატორმა სოფელ ვაკიჯვარში საკალმახე მეურნეობა დაათვალიერა

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა გურიის მხარეში გია სალუქვაძემ, ქალაქ ოზურგეთის მერთან, ბეგლარ სიორიძესთან ერთად ,,ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობა'' მოინახულა.

საკალმახე მეურნეობის დირექტორმა, ოთარ ჩხარტიშვილმა, მხარის პირველ პირს კალმახისა და არქტიკული ჩარის ჯიშის თევზები დაათვალიერებინა. ,,ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობაში'' ამ ეტაპზე 40 ადამიანია დასაქმებული და ისინი უახლოეს მომავალში გაფართოებასაც გეგმავენ. საწარმოში 59 აუზია, რომლის მოვლა-პატრონობაზეც თანამშრომლები ყოველდღიურად ზრუნავენ. მიმდინარე წლისთვის მეურნეობის მეპატრონე 250 ტონა კალმახის რეალიზაციას ვარაუდობს. აღსანიშნავია, რომ საკალმახე მეურნეობაში წითელ ხიზილალასაც აწარმოებენ, რომლის გაყიდვების რაოდენობამ გასულ წელს 3 ტონა შეადგინა.

,, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ გურულები საოცარი ხალხია. ჩვენ ახლა ვიმყოფებით უნიკალურ ადგილზე. საკალმახე მეურნეობის აღორძინებისთვის აქ მომუშავე ადამიანებმა კოლოსალური შრომა გაწია. აქ ახლაც მიმდინარეობს ახალი საკალმახეების სარეაბილიტაციო სამუშაოები'',- აღნიშნა გია სალუქვაძემ.

საკალმახე მეურნეობის ბიზნესის ნაწილი სახელმწიფო პროგრამის - ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის'' ფარგლებში დაფინანსდა. აღნიშნული პროგრამით სახელმწიფო ახლადშექმნილ და მოქმედ საწარმოებს აფინანსებს.

ვიქტორ დოლიძის ნაძეგლარს ახალი მეთვალყურე გამოუჩნდა

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის სამუსიკო სკოლის წინ, ვიქტორ დოლიძის ნაძეგლარს ახალი მეთვალყურე გამოუჩნდა – ეს კარგად ნაპატიები ბოჩოლა, ვიზუალური შეფასებით, კვარცხელიას ჯიშისა უნდა იყოს, რომელიც მადიანად შეექცევა როგორც კვარცლხბეკზე მიკრულ განცხადებას, ისე აქ მობბინე ბალახს.

იმედია, ქალაქის სხვა უბნების მოსახლეობის ძროხებიც, ხაოიანების გარდა, მიბაძავენ მას, და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით ,,ინსნიან'' ოზურგეთს ზედმეტი სიმწვანისაგან.

შეღავათიანი სესხი ფერმერებს

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში გურიაში საშუალო და მსხვილ ფერმერებზე შეღავათიანი სესხები გაიცა.

,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით" ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაკიჯვრის მკვიდრმა გივი ნინიძემ ისარგებლა. მან კრედიტის სახით 15%-ში 30 000 აშშ დოლარი აიღო, საიდანაც 12%-ს სახელმწიფო უფინანსებს, ხოლო 3%-ს თვითონ ფერმერი იხდის.

თავდაპირველად აღებული თანხით ფერმერმა 100 ფუტკრის ოჯახი და ლაბორატორია შეიძინა, შემდეგ კი აღნიშნული მეურნეობა გააფართოვა. გასულ კვირაში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი გურიის მხარეში გია სალუქვაძე ნინიძეების ოჯახს ესტუმრა და იქ ქართული მთის რუხი ფუტკრის სანაშენე მეურნეობა და ფუტკრის დედების ხელოვნული განაყოფიერების ლაბორატორია დაათვალიერა.

,,რაც აქ ვიხილე, ეს არის გარანტი იმისა, რომ ქართული ფუტკარი არასდროს გადაგვარდება. ჩვენ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს თითოეულ მეწარმეს, ჩაერთოს ყველა იმ სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც მათ თავიანთი ბიზნესის გაფართოებაში დაეხმარება", – თქვა ფერმერის ოჯახში სტუმრობისას გია სალუქვაძემ.

ავტომობილების „ბაზრობა“ საპატრულო სამსახურის წინ

ალიონი. ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის (თეატრალურ) მოედანზე რამდენიმე დღეა ავტომობილებით ვაჭრობა იმართება. გასაყიდად დგას ძირითადად იაპონური წარმოების როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა საჭიანი ავტომობილები.

საპატრულო პოლიცია ამ თემაზე რეაგირებას არ აკეთებს. რაც შეეხება ქ. ოზურგეთის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, როგორც შუქრი გაბრიჩიძემ გვითხრა, თეატრალურ მოედანზე ავტომობილების ბაზრობის გახსნის მცდელობას არ დაუშვებენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მელექედური-დვაბზუს შემაერთებელი 2კმ და 250-მეტრიანი გზის მშენებლობა ერთ თვეში დასრულდება

ზურგეთის მუნიციპალიტეტში, მელექედური-დვაბზუს შემაერთებელი 2.25 კმ გზის მშენებლობა ერთი თვის ვადაში დასრულდება.

როგორც ,,ინტერპრესნიუსს" ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, სამშენებლო სამუშაოებს შპს "გზამშენი-18" (უფროსი თ. ჯახვა) ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება - 660 000 ლარს შეადგენს.

მელექედური-დვაბზუს შემაერთებელი გზის მშენებლობის პროცესს, სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი გურიის მხარეში გია სალუქვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძე დაესწრნენ.

"მელექედური-დვაბზუს შემაერთებელი გზის მშენებლობა მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტია, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ხორციელდება. პარალელურად წესრიგდება სანიაღვრე არხებიც. მოსახლეობა გზის არ არსებობით მუდამ შეწუხებული იყო და წლების განმავლობაში უგზოობა მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენდა", - განაცხადა გია სალუქვაძემ.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ერნესტ რეზერფორდი (1871-1937). 1902 წელს რეზერფორდმა, ფრედერიკ სოდთან ერთად, ფიზიკის ახალი მიმართულება – რადიაქტივობა დააფუძნა. 1911 წელს ჩამოაყალიბა ატომის პირველი თეორია. 1914 წელს მიიღო „სერის“ წოდება. 1919 წელს აღმოაჩინა პროტონის აქსელერაცია (ატომის გამანადგურებელი დარტყმა).

ადამიანი, რომელმაც მთლიანად ახსნა რადიაქტიურობა და ზოგადად განავითარა ბირთვული ფიზიკა იყო ერნესტ რეზერფორდი.

სხვა მეცნიერებთან ერთად, რეზერფორდმა იპოვა მეთოდი, რითაც შეიძლებოდა ატომის ხელოვნურად გაყოფა,ალფა ნაწილაკის შეჯახებით. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ამ დაჯახებით ნაწილაკებიდან გამოიტყორცნება პროტონები. ამ პროცესში სუბსტანციის ატომის შემადგენლობა იცვლება და გადადის ერთი ელემენტიდან მეორეში.

პირველ შემთხვევაში რეზერფორდმა აზოტი ჟანგბადში გადაიყვანა, ხოლო შემდეგ – წყალბადში და ეს პროცესი სხვა ელემენტებთან მიმართებითაც განაგრძო.

1908 წელს რეზერფორდმა ნობელის პრემია მიიღო ქიმიის დარგში.



ძმები რაიტები ვილბერი (1867-1912) და **ორვილი** (1871-1948). 1783 წლის 4 ივნისს შედგა მონგოლფიერების საჰაერო ბურთის პირველი საჯარო დემონსტრაცია. 1896 წელს პლანერის კატასტროფის შედეგად დაილუპა გერმანელი ოტო ლილიენტალი. სწორედ აქედან დაიწყო ძმები რაიტების დიდი ინტერესი ფრენისადმი.

პირველი ძრავიანი თვითმფრინავის გაფრენა ისე, როგორც სხვა ტესტების ჩაბარება კიტიჰოკში, ჩრდილოეთ კაროლინაში მოხდა 1903 წლის 17 დეკემბერს. რამდენიმე დღით ადრე ვილბერის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ორვილის გაფრენა წარმატებული გამოდგა. ის პირველი იყო, ვინც მართული გაფრენა განახორციელა და 120 ფუტი დაფარა. იმავე დღის ბოლომდე ორივენი უფრო შორს გაფრინდნენ.

რაიტები სხვებზე ადრე მიხვდნენ, რომ პლანერი იყო სტაბილური, მაგრამ მართვის უნარს მოკლებული საფრენი აპარატი.

ძმებმა პირველებმა შექმნეს პროპელერი. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ბევრი ცდილობდა შეექმნა მძიმეწონიანი საფრენი პლანერები, მაგრამ უშედეგოდ.

ამ დროს ძმებმა რაიტებმა მიაგნეს სრულიად სხვა მიდგომას. 1903 წელს გამოიგონეს და გამოსცადეს მსოფლიოში პირველი ძრავიანი აეროპლანი.

გულიელმო მარკონი (1874-1937). 1896 წელს მარკონიმ მიიღო პირველი პატენტი რადიომოწყობილობებისათვის.

1897 წელს გააგზავნა რადიოსიგნალი დაახლოებით 9 მილზე,ბრისტოლის სრუტის გადაღმა. 1988 წელს დააფუძნა უსადენო ტელეგრაფისა და გადამცემის კომპანია. 1909 წელს, ერდინანდ ბრაუნთან ერთად, დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ფიზიკაში. 1918 წელს გააგზავნა პირველი რადიოგზავნილი ინგლისიდან ავსტრალიაში.

1885 წელს მან შექმნა თანამედროვე მოწყობილობა ტალღების გაცემისა და მიღებისათვის.

1900 წელს ნოვატორმა საკუთარი კომპანია დაარსა, რათა თავისი მიღწევები უფრო წარმატებული გაეხადა და მას „მარკონის უსადენო გადამცემების კომპანია“ დაარქვა. ამავე პერიოდში მოაწყო საზღვაო რადიოგადაცემები გემებს შორის (ბრიტანეთის საზღვაო ფლოტში), რასაც შემდგომი გაუმჯობესება მოჰყვა.

ნაოსნობაში მარკონის ინოვაციების გამოყენებამ დიდი სენსაცია გამოიწვია. საოკეანო ლაინერ „ტიტანიკიდან“ მრავალი ადამიანის სიცოცხლე სწორედ ამ მოწყობილობების დამსახურებით

გადაარჩინეს ე. წ. „მარკინის კაცები“, როგორც მათ ხომალდზე ეძახდნენ, ჯეკ ფილიპსი და ჰაროლდ ბრაიტი, უკანასკნელ მომენტამდე გემზე რჩებოდნენ და დენის გათიშვამდე სიგნალს გადასცემდნენ, სანამ რადიოს ოთახი ბოლომდე წყლით არ დაიფარა.

გულიერმო მარკინიმ თავისი მოწყობილობებისათვის მრავალი პატენტი მიიღო, ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში რადიოტექნოლოგიის განვითარების საქმეში იყო ჩართული და გარდაცვალებამდე მოკლეტალღოვან ტექნოლოგიებში დიდ წინსვლას მიაღწია, რითაც 1927 წელს საერთაშორისი რადიოგადაცემათა ქსელი შექმნა.

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ვერიკო ანჯაფარიძე; ხეიბარი – საპყარი; გაზაფხულის ყვავილი – ია; ლიტერატურული ჟანრი – დრამა; სამხრეთ ამერიკული ცეკვა – სამბა; მეფის სასახლის დიდი მოხელე – ეკიბი; გემის ავარიული ზარალის გაანგარიშება – დისპაში; ცხოველთა მეფე – ლომი; საქორწინო ტახტი – ავკილა; ეროვნება – ოსი; ინდოელი დიდებული – რაჯა; ერთუჯრედიანი ცხოველი – ამება; ქვეყანა აფრიკაში – ზაირი; ჯარისკაცის სამოსი – ფარაჯა; კეთილთვისებიანი სიმსივნე – მიომა; სოფელი ქობულეთის რაიონში – ალამბარი; სასწორის თეფში – პინა; ყველაზე წყალუხვი მდინარე – ამაზონი; ვინც ვაშლს ვერ შეწვდა – ზაქარა; სამეგრელოში გავრცელებული ვაზი – ოჯალეში; სოფელი ლენტეხის რაიონში – ლაფალაში; მსუბუქი სიო – ალალი; ჩრდილოეთის ირემი – ლოსი; ბოლო თითი – ნეკი; თმის ბუნებრივი საღებავი – ინა; ყაზბეგის ნაწარმოები – ელისო; მკვდარი ცხოველის სხეული – ლეში; ძვირფასი თვალი – ლალი; მკვრივი – მაგარი; პირველის შემდეგი – მეორე; ქალის სახელი – ესმა; კარნავალების ქალაქი – რიო; ბილიარდის ჯოხი – კია; ქართველი პოეტი – ბესიკი; ... სხვისია – ნისია; დიდ ბრიტანეთში შემავალი ქვეყანა – ირლანდია.

ჭანეთი

აღმოსავლეთ ჭანეთი (ლაზეთი)

ჭანეთი დიდი ტკივილია საქართველოსი, ისე როგორც კარნი, ტაო (ამიერი, იმიერი), სპერი, კლარჯეთი, არტაანი, ბასიანი, კარნიფორი, ლორე, ყაიყული და ბევრი სხვა.

ეს ქვეყნები ერთ დროს ჩვენი სამშობლოს ორგანულ ნაწილებს შეადგენდნენ და ქართველთა ცხოვრების უშუალო მონაწილეები გახლდნენ.

კარგახანია არათუ მათი ტერიტორია, არამედ სახელმწიფოებიც დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან. მათ შორისაა საგეოგრაფიო სახელი ჭანეთი, რომელიც დღეს უკვე თითო-ოროლამ თუ იცის და არც რაიმე ძალა არ ჩანს, რომ ეს პროცესი შეაჩეროს.

ლაზეთიც ქართველური წიაღიდან მომდინარე სახელია და მისი ჭანეთისთვის შერქმევა, ერთი შეხედვით, არც ისე დიდი ცოდვა ჩანს, მაგრამ ეს სწორი არ არის.

და ამას, პირველ ყოვლისა, იმიტომ ვამბობ, რომ ისტორიაში ამ მონათესავე ზანურ (დასავლურ ქართული) ნათესავთ (ტომებს) სხვადასხვა ისტორია აქვთ. ლაზებმა ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან დიდი მხნეობა გამოავლინეს და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ მოზრდილი სამთავრო შექმნეს (II- IV ს.ს.), ხოლო შემდეგ– სამეფოც (IV-XVIII ს.ს.) ჭანებს კი სხვა პირობებში მოუხდათ ცხოვრება და ასეთ სიმაღლეებს ვეღარ მიაღწიეს.

ახლა, როდესაც დასავლეთ საქართველოს ლაზები აღარ არსებობენ, ხოლო მათი სახელით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მოსახლე ხალხი მოიხსენიება, თუ ვინმე ღრმად არაა ჩახედული ისტორიაში, შეიძლება შეცდომა მოუვიდეს და ისინი მიიჩნიოს ჭოროხის ჩრდილოეთით მცხოვრები ლაზების მემკვიდრეებად.

გარდა ამისა, ჭანეთის მრავალათასწლოვანი საისტორიო შემოქმედება ძნელად დასაკავშირებელი აღმოჩნდება ისტორიულ



ჭანური (ლაზური) საცხოვრებელი სახლი სოფ. სურმენათს

ძველი მართლმადიდებლური ტაძარი სოფ. სურმენათს (ჭანეთი)



ლაზებთან.

ჭანები მცირე კავკასიონის შვილები გახლავან და შედარებით გვიან ჩააღწიეს ზღვამდე.

მათ განვითარების დიდი გზა გაიარეს, ვიდრე ამის შეძლებდნენ, მაგრამ, ეს დიდი ამოცანა გადაჭრეს.

შესანიშნავად შეერწყნენ ჭანები ზღვას და დიდი ნიჭიერებაც გამოავლინეს მის გამოყენებაში.

მათ ქრისტიანობისთვის ბრძოლაშიც ისახელეს თავი, მაგრამ შემდეგ რჯულის შეცვლა მოუწიათ და ამან დიდი დაღი დაასვა ჭანთა შემდგომ ცხოვრებას.

ქრისტიანული ჭანეთის ელიტა იძულებული იყო, დაეტოვებინა სამკვიდრო და მეზობელ გურიას შეხიზვნოდა.

ლტოლვილ ჭანთა ამ გვიანდელმა ტალღებმა მნიშვნელოვნად შეავსეს გურიის, ოდიშის, იმერეთის და საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობის ფენები.

ამათი შთამომავლები ჩანან ჭანიები, ჭანიშვილები, ჭანიძეები, არაშიძეები, ტუღუშები, ჯაშები და სხვანი მრავალნი.

ახლა ის გეოგრაფიული სახელებიც მოვიხსენიოთ, რომლებიც ჭანთა სატომო სახელისაგან მომდინარეობს: ჭანიეთი, ჭანიეთური (შუა გურია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი); ქვაბღა (ზემო გურია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი); ტობახჩა (იქვე, სუფსის ხეობის ზემო წელი) და სხვა.

ასეთ ჟამს, როდესაც ასე პროდუქტიული სატომო სახელი (ჭანი) გვეკარგება, მეტი ყურადღება გვმართებს, რომ საერთოდ არ გაქრეს მისი ხსენება და იქნებ, როგორმე გამოინახოს მისი პოპულარიზაციის და გადარჩენის გზა.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

მართე სახლიდან“ – საკრებულოს სხდომები ონლაინ რეჟიმში

4 აგვისტოს 12:00 საათზე ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა ღონისძიება-პრესკონფერენცია, რომლის მიზანი იყო პროექტის „მართე სახლიდან“ გაცნობა ადგილობრივი პრესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის.

პროექტს „მართე სახლიდან“ ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს საზოგადოების აქტიურ ჩართვას ადგილობრივ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ელექტრონული მმართველობის სტანდარტების დანერგვას, რაც ასევე ითვალისწინებს საკრებულოს სხდომების ონლაინ რეჟიმში ტრანსლირებას. მოხდება პროექტის სამიზნე 10 სოფლის ახალგაზრდების აქტიური ჩართვა ელექტრონული მმართველობის პოპულარიზაციის საქმეში და ხელი შეეწყობა თვითმმართველობაში საზოგადოების მონაწილეობას და ჩართულობას სოციალური მედიის გამოყენებით. მოხდება ვიდეო ადვოკატირების მექანიზმების პოპულარიზაცია თვითმმართველობის გაცნობის მიზნით.

პროექტის მხარდამჭერი და პარტნიორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც შეიძენს საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას საკრებულოს სხდომების ონლაინ რეჟიმში ტრანსლირების ხელშეწყობისათვის, ასევე გამოყოფს შესაბამის თანამშრომლებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ აღნიშნული პროცესის გამართულად წარმართვას.

იყიდება

იყიდება 90კვ მეტრი სამალაზიო ფართი ქალაქის ცენტრში.
593 95 61 83.

ტრაქტორი T-16, მუშა მდგომარეობაში.
ახლავს მისაბმელი, გუთანი, კულტივატორი, ფარცხი, ზიგზაგი.
ფასი შეთანხმებით.
დაგვიკავშირდით:
(599) 95 57 69; (790) 95 57 69 (ბოჩა).

მადლობა

გაწეული სამედიცინო დახმარებისათვის მადლობას ვუხდი კლინიკა „მამქოლს“, მიმღებ მორიგე ექიმ ნატო კიკვაძეს, ექიმ ლევან მეგრელიშვილს, ექოსქოპისტ ცირა ბერიძეს, მედდა რუსუდან სირაძეს, სანიტარ შორენა აბშილავას.

თამაზ ცომაია.
სოფ. ჭანჭათი

გახსენება

შენ აღარ მოხვალ...

ისევ დაჰბერავს ქარი, ისევ დაიღვენთება სანთელი, ცრემლებით ისევ დაინამება თვალები.

4 აგვისტო შენი დაბადების დღეა, ზაზა, 47 წლის გახდებოდი...

გლოვის ზარმა ჩამოჰკრა ჩვენს სახლში. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება. ჩემო ვაჟკაცო, ძლიერი იყავი მეგონა. უზომოდ შეყვარებული ოჯახსა და სამსახურზე, ყველაფრის გაკეთებას ჩქარობდი. სითბო, სიყვარული და ღიმილი იყო შენი ცხოვრების თანამდევი. მრავალწლიანი ერთგულებისა და ერთადყოფნის შემდეგ, თვალცრემლიანი დაიარება შენი საყვარელი მეუღლე შენს ნაკვალებზე. შვილებს უმამობას არ აგრძნობინებს, ზრუნავს შენს მოხუც მშობლებზე. მძიმე ხვედრია მშობლებისთვის შვილის დაკარგვა, შენი ღიმილიანი სახე გვენატრება მე და მამაშენს. უცნაური სიყვარულის გამოხატვა შეგეძლო შენი ახლობლებისადმი, მაგრამ შენმა უდროოდ წასვლამ დაამწუხრა ყველა, ვინც კი გიცნობდა. უშენობამ დარდი და სევდა მოგვიტანა, სიცარიელე ვერაფერმა შეგვივსო, ტკივილი არ ნელდება. გვენატრები, გვიყვარხარ ეს ზაფხულიც უშენოდ მოვიდა, ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ შენი სულისთვის, სანთლები აგინთოთ, უფალს შევთხოვთ სასუფეველი დაგიმკვიდროს, იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

შენზე მგლოვიარე დედა **ლენა.**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ როზა გოგუაძეს, დედის **ანგელინა მკერვალი-გოგუაძის** გარდაცვალების გამო.

ნასაკირალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სპმთპ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ როზა გოგუაძეს დედის, **ანგელინა მკერვალი-გოგუაძის** გარდაცვალების გამო.

„გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნობს ქალბატონ როზა გოგუაძეს დედის, **ანგელინა მკერვალი-გოგუაძის** გარდაცვალების გამო.

გიწვევთ ულამაზესი 400-კაციანი დარბაზი ქალაქის ცენტრში. მობრძანდით და ისიამოვნეთ!

„აგვისტო ომის" მძიმე დღეები მახსოვს...

ნუგზარ ასათიანი

ელენე მახარაძე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მხოლოდ 7 წლის იყო, მაგრამ კარგად ახსოვს ომის რთული დღეები.

– 1 აგვიტოს ჩემი დაბადების დღე იყო. რამდენიმე დღეში სულ სხვა რეალობაში აღმოვჩნდით. ბაბუა, შალვა ლიპარტელიანი (ცნობილი მსახიობი, წელს გარდაიცვალა) მოვიდა თეატრის ავტობუსით და გვითხრა: – ხომ ხედავთ პორტი დაბომბეს, ყველაფერს უნდა ველოდოთ. ჩასხედით ავტობუსში და გურიას უნდა შეაფაროთ თავიო. უახლოესი ნათესავები, მეზობლები (სულ 21 კაცი) ავტობუსით მივადექით ქ. ოზურგეთში, ექადიაზე დარეჯან ბებოს სახლს ....

დარეჯან შავიშვილი ელოს ბებიის დაა. შალვამ ფოთელები დატოვა ოზურგეთში და თავად ფოთში დაბრუნდა.

– ქალაქს ვერ დავტოვებთ– თქვა წასვლისას.

ვერ დაიტია 20 ადამიანი დარეჯანის სახლმა და უახლოესმა მეზობლებმა გადაიყვანეს თავიანთ სახლებში სტუმრები. ამ სტრიქონების ავტორის ოჯახში ელოს ბიძა ლაშა ტაბაღუა და ბიცოლა ეკა სამუშია დაბინავდნენ... ინტერნეტში ომის მწარე რეალობას იგებდნენ. მსხვერპლი ფოთშიც იყო. ოზურგეთელი თემურ ჭიტაძე დაიღუპა ფოთში.

ომი იყო და ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა დახმარებოდა ლტოლვილებს. დარეჯან სიხარულიძის ოჯახშიც მივიდნენ იმჟამინდელი გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, სხვა თანამდებობის პირები და ფოთელ ლტოლვილებს თანადგომა აღუთქვეს.

–მაინც რა გახსოვს იმ დღეებიდან ყველაზე მეტად ელო?

–განვიცდიდით, შალვა ბაბუა რომ ფოთში იყო, მამა –მამუკა ესპანეთში სამუშაოდ. დედა რუსუდანი, ჩემი უფროსი და მარიამი და ბიძაშვილი ლუკა ტაბაღუა მყავდა თანატოლებიდან გვერდით. ძალიან მიყვარს გურია, მაგრამ ფოთი მენატრებოდა და თან ყურში რუსების მიერ ჩამოყრილი ბომბების ხმა ჩამესმოდა...

რამდენიმე დღის წინ ელოს ოჯახი კვლავ ჩამოვიდა ოზურგეთში. ახლა იგი 14 წლისაა, ფოთის №9 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე. და მარიამმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ილიას უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე აპირებს სწავლის გაგრძელებას. ელოს გატაცება ჩინური საბრძოლო ხელოვნების –უშუს დაუფლებაა.

–არ ვიცი, ეს ამ ომის გამოსახილი იყო თუ გატაცება, 3 წლის წინ უშუთ დავინტერესდი. ფოთში, ვასილ დუნდუა გვასწავლის ამ საბრძოლო ხელოვნებას. პირველი ადგილი დავიკავე უშუს მე-8 საერთაშორისო ტურნირზე და ქუთაისის ღია პირველობაზე; რამდენჯერმე ავიღე მე-2 ადგილი.

– ელო გიყვარს გურია?

–ძალიან. აქაური სითბო მახსოვს. დარეჯან ბებია და კეთილი მეზობლები როგორ გვაქცევდნენ ყურადღებას. მამა ესპანეთიდან დაბრუნდა ახლა სულ გურიისკენ მოუწევს გული. ცხოვრება წინ მაქვს, მაგრამ „აგვისტოს ომის" მძიმე დღეები არ დამავიწყდება– გვითხრა ელენე მახარაძემ გაზეთ „ალიონის" რედაქციაში სტუმრობისას.

იუბილარი

მურმან დუნდუა 80 წლისაა!



გადამდგარ პოლკოვნიკს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს, კოლორიც ოზურგეთელს, საუკეთესო ოჯახის თავკაცსა და მეგობარს, პოეტსა და მოქალაქეს, მურმან დუნდუას ვულოცავთ დამადებიდან 80 წლისთავს.

მურმან დუნდუა წლების მანძილზე ოზურგეთის რაიონის სამხედრო კომისარი იყო, შემდეგ –სამ ათეული წელია სასცენმრო „გურიის" დირიქტორია. ახლახან რეგიონის ბალოვანი სცრენქტურების ვეტერანთა სამჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს.

მისი ცხოვრების კრედო პოეტმა რამდენიმე წლის წინ ლექსების ერთ-ერთ კრებულში ასე გამოხატა:

„სიკვდილის შემდეგ ის ცოცხლობს,
ვინც საქმით ღმერთის დარია,
ქვეყანას თუ არ ადგება,
სიცოცხლეში სარ მკვდარია."

მეგობრები.

ვულოცავთ

ოზურგეთელი (და არა მხოლოდ ოზურგეთელი) საზოგადოებისათვის უკვე საკმაოდ ცნობილ მომღერალს, თხინვალის საჯარო სკოლის მეოთხეკლასელ მოსწავლეს ნოდარ (ნოდიკო) დონაძეს 10 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ამ ცისარცყლასავით თერადოვან იუმილეს და ვუსურვებთ თავისი ნიჭიერებითა და ცკმილი ხმით ახალი სიცყვა ითქვას ქართულ მუსიკალურ სამყაროში.

მეგობრები

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +22+31	მზე +23+32	ელ-ჭექი, +22+31	ელ-ჭექი, +20+26	ელ-ჭექი, +19+25	მზე +21+28	მზე, ღრუბელი +19+26
10 აგვისტო ორშაბათი	11 აგვისტო სამშაბათი	12 აგვისტო ოთხშაბათი	13 აგვისტო ხუთშაბათი	14 აგვისტო პარასკევი	15 აგვისტო შაბათი	16 აგვისტო კვირა